დახურული საგრანტო კონკურსი:

უფლებების დაცვის მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში [1]

მცირე გრანტები ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ინიციატივებისთვის

პროექტის შესახებ

ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტმა (NHC) ჰერტის სკოლასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრთან (საქართველო) და საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივასთან ერთად კონსორციუმში შეიმუშავა მრავალმხრივი 24-თვიანი პროექტი „საქართველოში უფლებების დაცვის მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება“, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას, რომლებიც ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე იცავენ ადამიანის უფლებებს, რათა მათ უფრო ეფექტიანად გააკონტროლონ სახელმწიფო ორგანოების ადამიანის უფლებების ვალდებულებებთან შესაბამისობა და გაზარდონ ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერება როგორც ამ უფლებების მფლობელებს შორის, ასევე მათ შორის ვისაც ამ უფლებების უზრუნველყოფის მოვალეობა ეკისრება.

პროექტი ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ინიციატივებს რომ განახორციელონ ქვეყანაში ადამიანის უფლებების სიტუაციის უწყვეტი მონიტორინგი, ხელი შეუწყონ სამთავრობო ზომების, პოლიტიკისა და კანონების მიღებას სიტუაციის გასაუმჯობესებლად, და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სტრატეგიული ადვოკატირების საშუალებით წინ აღუდგნენ ქვეყნის შესაძლო უკუსვლას ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის კუთხით.

ჩვენი საერთო მიზნის მისაღწევად, ინტერვენციის ლოგიკა მიმართულია სამი ძირითადი შედეგისკენ, რომელიც დაკავშირებულია ინტერვენციის სამ მეთოდთან:

i. ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების მცირე ორგანიზაციები და სამოქალაქო ინიციატივები გაიუმჯობესებენ შესაძლებლობებს ადამიანის უფლებების გამოძიების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ადვოკატირების კუთხით და აიმაღლებენ ცოდნას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის

[1] ეს პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულადაა პასუხისმგებელი ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მექანიზმების შესახებ; ადგილობრივი ტრენერები დასერტიფიცირდებიან ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და ადვოკატირების სწავლებისთვის;

ii. ჩვენი ორსაფეხურიანი ქვე-საგრანტო პროგრამის მხარდაჭერით, ეროვნულ დონეზე მომუშავე 4 ადამიანის უფლებათა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და 10 მცირე რეგიონული ადამიანის უფლებათა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და სამოქალაქო ინიციატივა განახორციელებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების უზრუნველყოფის მონიტორინგსა და ამ კუთხით ადვოკატირებას;

iii. ეროვნულ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებსა და ფართო საზოგადოებაში გაიზრდება ცნობიერება ქვეყანაში ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და პატივისცემის კუთხით სახელმწიფოს ვალდებულებებისა და სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიების განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების შესახებ.

საგრანტო კონკურსის მიზანი

ამ პროექტის ფარგლებში, NHC განახორციელებს მესამე მხარეთა ფინანსური მხარდაჭერის (FSTP) სქემას საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ინიციატივებისთვის.

ამ ფინანსური მხარდაჭერით ორგანიზაციებს საშუალება მიეცემათ, რომ შეიმუშაონ და განახორციელონ პროექტები რომლებიც ორიენტირებულია სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებების მონიტორინგსა და ამ კუთხით ადვოკატირებაზე.

ამ საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი საგრანტო წინადადებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ (და არა მარტო შემდეგ) თემებს:

- ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სახელმწიფოს ადამიანის უფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება; კერძოდ, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- ადვოკატირების კამპანიები საქართველოს ადამიანის უფლებათა ვალდებულებებთან დაკავშირებით;
- გადაწყვეტილების მიმღები პირების ცნობიერების ამაღლება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებების შესახებ;
- ფართო საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ზოგადად ადამიანის უფლებების შესახებ და განსაკუთრებით ისეთი მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის შესახებ, როგორიცაა LGBTI+ უფლებები, ქალთა უფლებები და ეთნიკური უმცირესობების უფლებები.

გრანტის მოცულობა და ხანგძლივობა

საგრანტო კონკურსის ფარგლებში NHC გასცემს ჯამში დაახლოებით 10 მცირე გრანტს. თითო გრანტის ოდენობა იქნება 1,000-დან 6,000 ევრომდე.

საგრანტო კონკურსი განხორციელდება ორ ეტაპად. თითოეული ეტაპის დროს გაიცემა 5 მცირე გრანტამდე.

პირველი ეტაპის დროს შერჩეული პროექტების დაწყების მოსალოდნელი თარიღია 2024 წლის 1-ლი იანვარი. შერჩეული პროექტები უნდა განხორციელდეს პროექტის დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში.

დასაშვებობის კრიტერიუმი

ამ დახურულ საგრანტო კონკურსში წინადადებების წარმოდგენა შეუძლიათ იმ ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ინიციატივებს, რომელთა წარმომადგენლები მონაწილეობენ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამაში.

გრანტის მიღება შეუძლია:

- საქართველოში მოქმედ და რეგისტრირებულ არაკომერციულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას და ასევე იურიდიული პირის არმქონე ორგანიზაციას;
- საქართველოში მოქმედ სამოქალაქო ინიციატივას (კერძო პირთა ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია ერთი პასუხისმგებელი პირით და გაერთიანებულია საერთო სამოქალაქო მიზნისთვის).

საჯარო ადმინისტრაციის დაწესებულებები, სახელმწიფო უწყებები, ადგილობრივი ან რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, პოლიტიკური პარტიები ან პოლიტიკური პარტიებთან დაკავშირებული ორგანიზაციები არ არიან დაშვებულნი ამ კონკურსში მონაწილეობისთვის.

დაუშვებელი ხარჯები

წარმოდგენილი ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს იმ აქტივობებს, რომლებიც აღწერილი იქნება საგრანტო წინადადების განაცხადის ფორმაში. შემდეგი აქტივობები და ხარჯები არ არის დაშვებული ამ კონკურსის ფარგლებში:

- მესამე მხარეთა ჰუმანიტარული მხარდაჭერა;
- სამხედრო მიზნებისთვის ან სამხედრო მხარდაჭერისთვის გამიზნული ხარჯები;
- სამედიცინო ან ნებისმიერი სხვა გაუთვალისწინებელი (საგანგებო) ხარჯი;

- კომერციული აქტივობები;
- ინფრასტრუქტურული პროექტები (გზების, ხიდების, შენობების და ა.შ. მშენებლობა);
- მიწის ან ქონების შესყიდვა;
- პოლიტიკური ან რელიგიური აქტივობები;
- გარემოსთვის საზიანო აქტივობები;
- რეტროსპექტიული აქტივობები (საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებული ხარჯები).

განაცხადის მიღების პროცესი

დაინტერესებულ ორგანიზაციებს გთხოვთ, შეავსოთ ონლაინ განაცხადის ფორმა ინგლისურად ან ქართულად, არაუგვიანეს 2023 წლის 17 ნოემბრისა.

ონლაინ განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

- დეტალური განაცხადი (გადმოწერეთ შაბლონი: ქართული, ინგლისური)
- პროექტის ბიუჯეტი (გადმოწერეთ შაბლონი)
- ხელმოწერილი კანდიდატის დეკლარაცია (გადმოწერეთ შაბლონი)
- ორგანიზაციის რეგისტრაციის სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში)
- ორგანიზაციის წესდება

საგრანტო კონკურსთან ან განაცხადის წარმოდგენის პროცედურასთან დაკავშირებული კითხვებით შეგიძლიათ მოგვმართოთ ელ-ფოსტაზე: hrd@nhc.nl არაუგვიანეს 2023 წლის 10 ნოემბრისა.

შეფასდება მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც შეიცავს სრულად შევსებულ ონლაინ განაცხადის ფორმას და მოთხოვნილ დამატებით დოკუმენტებს.

საგრანტო წინადადების შერჩევის პროცესი

წარმოდგენილ საგრანტო წინადადებებს შეაფასებს დამოუკიდებელი შეფასების კომიტეტი შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	რამდენად შეესაბამება საგრანტო წინადადება კონკურსის მიზნებსა და პრიორიტეტებს?	20
2	რამდენად მიესადაგება საგრანტო წინადადება მიზნობრივი ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებსა და გამოწვევებს?	15
3	რამდენად თანმიმდევრულია პროექტის დიზაინი? მიუთითებს თუ არა საპროექტო წინადადება პროექტის მოსალოდნელ გრძელვადიან შედეგებზე? გამომდინარეობს თუ არა პროექტის	15

	ლოგიკიდან ის თუ როგორ იქნება მიღწეული მოსალოდნელი შედეგები? შეესაბამება თუ არა შემოთავაზებული აქტივობები დასახულ პირველად და საბოლოო შედეგ(ებ)ს და არის თუ არა ეს აქტივობები პრაქტიკული და თანმიმდევრული?	
4	არის თუ არა პროექტის სამოქმედო გეგმა ნათელი და განხორციელებადი? არის თუ არა ვადები რეალისტური?	15
5	შეიცავს თუ არა საგრანტო წინადადება მონიტორინგის ეფექტიან სისტემას? იგეგმება თუ არა პროექტის შეფასება?	10
6	რეალისტური და განხორციელებადია ბიუჯეტი (სათანადოდ ასახულია თუ არა აქტივობები ბიუჯეტში?)	15
7	რისკების ანალიზი და შემარბილებელი ღონისძიებები	10
ჯამი:		**100**

კანდიდატები მიიღებენ საგრანტო კონკურსის შედეგებს ელ-ფოსტის საშუალებით, განაცხადების მიღების ბოლო ვადიდან სამი კვირის განმავლობაში.

საგრანტო წინადადებების შერჩევის პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი შეფასება წარდგენილი უნდა იქნას NHC-თვის ელ-ფოსტის საშუალებით, შემდეგ მისამართზე: hrd@nhc.nl.